ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 107

კვირა, 23 მაისი, 1899 წ.

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

№ 107

კვირა, 23 მაისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე ღირება 7 მან. 25 კაპ.

კნეინა ეკატერინე იაკინთეს ასული, კნეინა ანასტასია სიმონის ასული, თავადნი ნიკოლოზ, მიხეილ, დავით გიორგის ძენი და კნიაჟნა თამარ გიორგის ასული ბაგრატიონ-მუხრან-ბატონნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი საყვარელის შვილისას, მეორე —ძვირფასის ქმრისას, მესამენი—ძმისას

თ. ლევან გიორგის ძის ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისას

და სთხოვენ მობრძანდნენ ორშაბათს, 24 მაისისათვის, ს. მუხრანში, სადაც გასვენებულ იქნება მიცვალებულის გვამი სასახლიდგან კარის ეკკლესიაში დილის თერთმეტს საათზედ და იქვე დასაფლავებულ.

24 მაისამდე პანაშვიდი გარდახდილ იქნება ყოველდღე, დილის 12 საათზედ და საღამოს 7 საათზედ. (2—70—2)

„ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ გამგე კომიტეტი აუწყებს ამა საზოგადოების წევრთ, რომ **წლიური საზოგადო კრება წევრთა** დანიშნულია ამ წლის 30 მაისს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში.

განსახილველია:

1) ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წ.

2) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

3) გამგე კომიტეტის მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მსახურთათვის საპენსიო კასის წესდების შესახებ.

4) მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის სადგურის აშენების შესახებ.

და 5) სხვა-და-სხვა თხოვნა და წვრილმანი საგნები. (5—უ.—4)

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემენცების ეკკლესიის პირდაპირ. **Михайловская, противъ кирки.**

(100—31—38)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. ზროგასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. ბურგო. $1\frac{1}{4}$—$2\frac{1}{4}$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6\frac{1}{2}$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. სალომე გიორგის ასულმა ამირეჯიბმა—ვერცხლის ბეჭედი სალფეტკებისათვის.

სოფიო სალარიძემ—ხელოვნური ნაქსოვი არშია.

ანნა ნოზაძემ—ჩარჩო.

მინადორა კასრაძემ ჩარჩო.

მ. კნიაზევსკაიამ—ლამფის დასადგმელი.

სალომე ირემაშვილისამ—ნაკერი წიგნში ჩასადები.

ნინო გურგენიძემ—ლამფის დასადგმელი.

ე. კუზმინამ—ლამფის დასადგმელი.

ანასტასია ბუიძემ—ლამფის დასადგმელი.

მ. ტაბლიევმა—ნივთები.

მარიამ გამზარდიამ—მოქსოვილი პარკი.

ანნა სიხარულიძემ—ლამფის დასადგმელი.

ანნა ბენაევმა—6 სალფეტკა.

ჩიჯავაძემ 6 სალფეტკა.

ანნა ახალშენოვისამ—სალფეტკა.

ბარნაოვმა—სალფეტკა.

მარიამ მღებროვისამ—სალფეტკა.

მ. ჩიგოგიძემ—2 სალფეტკა.

ოლიმპიადა შენგელიამ—2 სალფეტკა.

ნინო პონომარევმა—6 სალფეტკა.

ნინო დეკანოზოვმა—3 სალფეტკა.

ნინო ზუმბულიძემ—სალფეტკა.

ბ. იოსელიანმა—სალფეტკა.

ბარბარე კარულიძემ—3 სალფეტკა.

ვ. ნასარიძემ—სალფეტკა.

ნ. ჯონჯიხაძემ - 3 სალფეტკა.

ნ. ივანოვმა—3 სალფეტკა.

ანასტასია კოლაბეგოვმა—2 სალფეტკა.

ნინო მირიანოვმა—2 სალფეტკა.

ან. ჯახტაბეგოვმა—3 სალფეტკა.

ანასტასია ედილოვმა—არშია.

მარიამ ჩუხრუკიძემ—6 ხელსახოცი.

მარიამ ჩორბაძემ ბავშვის ბაშმაკები.

მ. ბებიევმა—სხვა-და-სხვა ნივთი.

ვერა პონომარევმა—სხვა-და სხვა ნივთი.

თამარა გამრეკელმა—სხვა-და სხვა ნივთი.

კ. ტიკოლოვისამ—არშია და ბავშვის ფეხთ-საცმელი.

ანნა წერეთელმა ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი.

გლ. ნებიერიძემ—ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი.

მ. გულიშვილმა ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ნ. კაპანაძემ—ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ტუფარინმა — ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ნ. მიჩაბელმა—ბავშვის ნაქსოვი ფეხსაცმელი.

ნ. ჩხეიძემ—ჩულქები.

ვერა მთიულოვმა—არშია.

ოლღა ბაკურაძემ—წინდები.

ეკატერინე მშველიძემ—კოკეტკა პერანგისა.

ანასტასია ბერძენოვმა—არშია.

ეკატერინე ახმეტელოვმა—თოკის პარკი.

დედათა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებმა შემოსწირეს:

ანტონინა ტეპიკელოვისამ—ნაკერი ლამფის დასადგმელი.

რაზანსკაიამ—ნაკერი პორთფელი.

მართა ჩაგუნავამ—ხელოვნურად ნაკერი ბალიში.

იულია ბერიშვილისამ—ბავშვის თეთრეული.

ელისაბედ მთიკაშვილისამ—ბავშვის აბრეშუმის ნაკერი ხალათი.

ე. ჩაგუნავასამ—კაბა ბავშვისა.

ალექსანდრა გამრეკელისამ—ხალათი ბავშვისა.

ფელეტონი

საგულისხმო მუხლები

(ხუმრობასავით)

1, „...ახალ თაობის მოწინავე ნაწილმა თუ ახლავე არ გამოირკვია თავისი მიზანი და ლტოლვილება, თუ ახლავე არ შეიგნო ის ისტორიული როლი, რომელიც მას ჩვენი (მა?) ახალი ცხოვრების ხანამ (?) არგუნა—იმას კიდევ უარესი ბოლო მოელის, ვინემ ეს შუათანა თაობას ხვდა, და ეს ბოლოა გაქრობა არა ძველთაობაში, არამედ მის მოსამსახურე შუათანა თაობაში და მოსამსახურეთა მოსამსახურეობა, მოგეხსენებათ—ვერაფერი ხელობაა...“ („კვალი“ № 14.)

2, „ივერიაში“ სწერდა „ვარი“: ნოე ჟორდანია თუთიყუშია, კომპილიანტია, თავისი არა აქვს-რა, მის ნაწერებში აზრი არა ჰყრია, მხოლოდ ერთი შუშხუნაა გარეგნად ვითომდა ლამაზ სიტყვებში ჩათხზული, რომელიც, როგორც ვიცით, აფეთქების შემდეგ ერთს მხოლოდ სუნსა და კვამლს სტოვებს... ნოე ჟორდანია ფანატიკოსია, რომელიც გატაცებულია ერთის მხოლოდ მარქსით და მის გარეშე არა სწამს-რა.

3, კიტა სწერდა „ივერიაში“— „კვალის“ რედაქცია წვრილმან ანგარიშისათვის პრინციპების გამყიდველია (თუ კი აქვს ამ რედაქციას, ან ჰქონია დაბადებიდგანვე რამე პრინციპი). გ. წერეთელიც, რომელიც მისის მოღვაწეობით მუდამ გვახსენებს აკაკის ერთ ძველ ოხუნჯობას გიორგიზედ—„ამ კაცს ორი თავი აბარია“, ერთის გეჯეროს, მეორის არაო,—ჩიკვაიძეს წვრილმან და არა საკადრის ანგარიშისათვის ვითომდა ლიტერატურულ სარჩულს თუ მფარველობას უწევსო.

4, ჟორდანია ყვირის „კვალში“, დღე მუდამ იმას ჩაგვჩიჩინებს—მე და მესამე დასს გვინდა „კვალის“ საშუალებით „სინათლე და მეტი სინათლე“ (საწყალო, გეტე, რად სთქვი ეს სიტყვები სიკვდილის ჟამს, ისედაც უკვდავი იყავი!) შევიტანოთ ყველგან, სადაც უნდა და არ უნდა იქაც, რადგან სინათლე ყველგან საჭიროაო. ჩვენ სანიტარები ვართ და ქვეყანა უნდა ვიხსნათ შავი ჭირისაგანაო. ნეხვის სუნის ნუ შეგეშინდებათ, ცოტა ხანს, თუ ცხვირწინ გადმოგიყაროთ, ამას ჰიგიენა მოითხოვსო. უნდა გამოვყაროთ ორმოში ჩასაყრელადაო... (ვაი თუ მანამდის მოვიწამლნეთ „ქარ-მტვერისაგან“!. მაგრამ შორს საკუთარო აზრო!— შენი არა-რა უნდა გქონდეს-რა. იწამე მხოლოდ მარქსი და მისი მოციქული ნოე ჟორდანია, რამეთუ გესმან სიტყვანი მისნი, „შემომიდეგ მეო!“.) (იხილე მისი „შუათანა თაობა“; განა ეს არ გამოდის?) ეს ახალი სექტაა, ახალი რჯული შემოდის, ჩვენც ქედ-დადრეკილი უნდა დავხვდეთ... მხოლოდ თუ „ივერიამ“ და მისთანათ ვერ შეიწყნარეს ეს ახალი მოძღვრება სხვითი არაფრით აიხსნება, თუ არ იმითი, რომ „ხოლო სამშობლოსა მისსა არა შეწყნარებულ იქმნის წინასწარმეტყველი.“—უუჰ, ნამეტანი წამოგვცდა!

5, მესამე დასელები გვილაღადებენ: ფეოდალიზმი დაეშვა, მიექანება მიდის, შავ-უფსკრულში ჩაიჩეხება, თუ ჯერ არ ჩაჩეხილა კიდეც... ეხლა კაპიტალიზმის დრო დადგა, მასთან ბრძოლა სახელს მოუხვეჭს ყველას, ვინც „კვალისტი“ და „ჟორდანისტი“... ოჰ, ბოდიში, მგონი ამისთანა სახელი თუ ტერმინი ჯერ ჯერობით არ არსებობს!.—ვინც მესამე დასელი გახდება და „შეუდგება მარქსსაო“... ეხლა წვრილ-ფეხობის ხანა დადგა, წვრილ მრეწველთა პერიოდი, ბრბოს და ხროს ზეიმია, ვინეტაროთ!—(რა კარგი სიტყვებია!—განა რომ სჩანს ამ სიტყვებში, ამ აზრებში, ამ მოფიქრებაში რაღაც კარგი! ეს ბრბოობა, ბ-ნო ჟორდანია, ხომ შეიძლება ქართულს ენაზედ თავ აღმართულად ლაპარაკი? აქ სამარაო ხომ არა არის რა?—ეს ბრძოლა, ეს რაღაც კალამთ ტკრციალი, აზრთა ბრიალი, სიტყვათ გრიალი? მაგრამ სად არის, რაშია? ვის ვებრძოლოთ? რას ვებრძოლოთ? დიაგნოზი მართალია?.. თუ ეგრეა, რეცეპტი? მაგრამ ჰო.. აკი ეგეც არის)...

7, სტუდენტები ილანძღებიანო, რომელს დავუჯეროთ, „კვალის“ უფრო სანდოა, თუ „ივერიისა“?... „კვალი თითქმის ყველა ამ წერილებს იმას უმატებს, რომ არ გვინდოდა, მაგრამ იძულებულნი ვართ დავბეჭდოთ. მართალია, ჯგუფმა სტუდენტობისამ უარ-გვყო, მაგრამ ამ ერთს კი ვუნდივართ, ის ყველაზედ უფრო „წმინდა ბერიაო“. ერთის ახირებულის სტიპენდიის ამბავი კარგად იცის, დასაჯერიაო. ნეტა ამ სტიპენდიამ ხომ არავის დაწვა გული? ფიცი რომ გვწამს, განა ყოველთვის და ყველაფერში ბოლო უნდა გვაკვირვებდეს! ყაზანიდგან გაგზავნილ წერილისა რა ითქმის! სხვას თუ არიგებ, შენ იმ მხრივ სრული უნდა იყო. მაშინ თვით რად იმალება ინიციალებში „სტუდენტი ს. გ—ძე“! ესეთ ფიცხელ ნაწერს, ესეთ რიხიან რაინდობას, გამომწვეველს საასპარეზოდ რიდე-მოფარებულ ადამიანისას „ქე მაინც, შე კაცო“, თავისი გულადობაც უნდა მოსდევდეს და თავისი უნილობა, ჩაუმალველობა.

8, „კვალი“ ამბობს არ უნდა ილანძღებოდეთო. ჩინებულია! სალიტერატურო ეთიკა განა მაგას მოითხოვს?.. უკვირთ, სწუხან, ჰგოდებენ, შემოგვლალადიან მკითხველებს, ჰხედავთ რა დროში ვცხოვრობთო და.. და ილანძღებიან... მკითხველს ვთხოვ, თუ ურწმუნო თომაა, კვალის დაარსებიდგან გადაათვალიეროს

ელისაბედ ტყემალაძისამ—წინ-საფარებელი.

თამარა ხახუტოვისამ—კაბა ბავშვისა.

ეკატერინე ბერიშვილისამ—ჩითის ბავშვის პერანგი.

სასუებ სიმონოვისამ—ხალათი ბავშვისა.

ოლგა გულისაშვილისამ—ბავშვის იუბკა.

სიდონია დეკანოზიშვილისამ—ხალათი ბავშვისა.

ბარბარე ბაირანოვისამ—წინსაფარებელი.

თამარა ბოლტინისამ—კაბა ბავშვისა.

ეფროსიმე ბაკურაძემ—ბავშვის კაბა.

მართა რამიშვილისამ—კაბა ჩითისა.

ელისაბედ სულხანიშვილისამ—იუბკა.

თამარა მახათაძისამ—ბავშვის კაბა.

ნინო თაქთაქიშვილისამ—პერანგი.

ანასტასია რეშეტნიკოვისამ—კაბა ჩითისა.

მარიამ უგრელიძისამ—მშვენივრად ნაკერი საშე ცხვირსახოცებისათვის.

მელანია ჯიოევისამ—საათის ჩასადები.

ოლგა კამარისამ—საათის ჩასადები.

ვერა კასრაძემ—საათის ჩასადები.

ანასტასია ბერაძისამ—მშვენივრად ნაკერი საშე.

ნინო აბასაძემ—ლამფის დასადგმელი.

ოლგა თოდოროვისამ—ხელოვნურად ნაკერი ლამფის დასადგმელი.

ქსენია კოკოევისამ—ნაკერი წიგნის ჩასადები.

ნადეჟდა ბეემ—წიგნში ჩასადები.

ს. მახარობლიძისამ—ორი აბრეშუმის ნაკერი ცხვირსახოცი.

ანნა ხახუტაშვილისამ—ხელოვნურად ნაკერი აბრეშუმის ცხვირ-სახოცი.

„ივერიის“ მე-105 ნომრის „შემოწირულებაში“ შეცდომით არის დაბეჭდილი, რომ კნ. ნატალია ალექსანდრეს ასულმა ხერხეულიძისამ შემოსწირა 19 მანეთი; უნდა იყოს 10 მანეთი. ამას გარდა იმავე შემოწირულებაში არ არის ნათქვამი, რომ მარიამ ნიკოლოოზის ასულმა ბუქვიევისამ ფულის გარდა შემოსწირა კიდევ 100-ზედ მეტი ნივთი სხვა-და-სხვა პირებს შორის შეკრებილი.

◆

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 23 მაისს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, მწირველი ბრძანდება ანჩისხატის ტაძარში კრებით.

⁂ პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ად. თავ. გ. ს. გოლიცინი გამოემგზავრება იქიდგან 25 მაისს.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა დასამტკიცებლად ტფილისის გუბერნატორს ქალაქის გამგეობის და სასწავლებელთა კომისიის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იდღესასწაულონ ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღე.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დამტკიცებულ იქმნას პ. რ. პრიტულენკო ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველად.

⁂ სამკურნალო ნაწილის სამმართველომ შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომ მიხეილის საავადმყოფოს საგიჟეთის ქალთა განყოფილებაში არა თუ თავისუფალი საწოლი აღარ არის, არამედ ახლად მისაღებია 21 სნეული ქალიო.

⁂ სასანიტარო-სამკურნალო პოლიციამ, როგორც იქმნა, აიძულა ძველ ხალიჩების გამყიდველნი წარედგინათ თავიანთი ხალიჩები სადეზინფექციო სადგურში, სადაც მომავალ კვირიდგან დაიწყება ამ ხალიჩების დეზინფექცია.

⁂ ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის ასრულება მიენდო საერო სკოლების ინსპექტორს ვ. ნ. პავლოვს, რადგან დირექტორი ხ. ნ. გრიაზნოვი დანიშნულ იქმნა ვარშავის სამოსწავლო ოლქის საერო სასწავლებელთა ინსპექტორად.

⁂ ახალის წესებით, რომლებიც ამ წლის 1-ლი იანვრიდგან მოქმედებენ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურე კაცთა ოჯახებს, რომლებიც აგარაკებში სცხოვრობენ, უფლება აქვთ ისარგებლონ მუქთი სამგზავრო ბარათებით თვეში ერთხელ, გარდა იმ ბილეთებისა, რომლებიც ეძლევათ წელიწადში ორჯელ, ხოლო თვით მოსამსახურეთ შეუძლიათ ისარგებლონ სასეზონო ბილეთებით, მაგრამ ამ ბილეთებსა და ბარათებს დღემდე ძალა ჰქონდათ მხოლოდ 100 ვერსის მანძილზედ ტფილისიდგან, და ამის გამო იმ საავარაკო ადგილებში, რომელნიც იმყოფებიან სადგ. გომს იქით, მაგალ., სურამსა, ქვიშხეთსა და ბორჯომში, გზის მოსამსახურეთ არ შეეძლოთ მუქთად წასულიყვნენ საავარაკოდ, რაც რასაკვირველია, დიდი დანაკლისია გზის იმ მოსამსახურე კაცთათვის, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ. ამ ჟამად გზის უფროსის შუამდგომლობის თანახმად სახაზინო რკინის გზების სამმართველოს თავმჯდომარემ შეატყობინა ადგილობრივს რკინის გზის სამმართველოს, რომ გზათა სამინისტრომ ნება დართო მიეცეს რკინის გზის მოსამსახურე კაცთ მუქთი ბილეთები 150 ვერსის მანძილზედ იმ ადგილიდგან, სადაც ისინი მსახურებენ.

⁂ განზრახვა აქვთ, რომ მომავალ წლიდგან სანიშნებელი ზარები ჩამოჰკიდონ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურთ: ტფილისსა და ხაშურს შუა, ალსტაფასა და ევლახს შუა და აჯიკაბულსა და ბაქოს შუა. ამ საქმისათვის უთხოვიათ 62,000 მანეთის გადადება.

⁂ განზრახვა აქვთ გააფართოვონ და გააუმჯობესონ ტფილისის მეტეხის ციხის საავადმყოფო ფერშლებისა და მსახურთა ბინატებით.

⁂ ტფილისის იუნკერთა სასწავლებლის უფროსის კანდიდატებად ასახელებენ ორს კაცს: კავკასიის კავალერიის დივიზიის შტაბის უფროსს დ. ლ. შუაცს და მე-39 ქვეითა დივიზიის შტაბის უფროსს ს. პ. ნეკრასოვს.

⁂ 29 მაისს ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში დამთავრდება მოსწავლეთა გამოცდა და ამის შემდეგ მოსწავლენი, ვიდრე სურამში გაემგზავრებოდნენ საბანაკოდ, დათხოვნილ იქმნებიან სახლში.

⁂ 21 მაისს სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის განყოფილებაში განხილულ იქმნა ბაკიხანოვის საქმე, რომელსაც ამას წინად, ნაფ. ვექილის სტაროსელსკის მოსაკლავად სხვების წაქეზების გამო უვადოდ კატორღა მიუსაჯეს. სენატმა გააუქმა პალატის განაჩენი სასჯელის გამო და პალატამ გუშინწინ ბაკიხანოვს 20 წლის კატორღა მიუსაჯა. ბაკიხანოვი პალატის პირველ განაჩენის შემდეგ სადღაც მიიმალა და დღემდე არსადა სჩანს.

⁂ როგორც ისმის, უკვე გადაუწყვეტიათ ხის ხიდის გაყვანა მდ. ტანაზედ სოფ. ხიდისთავის მახლობლად. ამ საქმისათვის უთხოვნიათ 10 ათასის მანეთის გადადება.

⁂ ქუთაისიდგან „ახ. მიმ.“-ს ატყობინებენ, რომ ადგილობრივს საგუბერნიო გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დ. ანაკლია განთავისუფლებულ იქმნას ორის ბოქაულის შესანახ ხარჯისაგან, რომელიც უდრის 1,300 მან.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ზალინოვმა, რომელიც შარშან გარდაიცვალა, მთელი თვისი ქონება უანდერძა თავისს სამშობლო ქალაქს დუშეთს იმ პირობით, რომ თანხისა და მამულის სარგებლით განათლება მიეცეს დუშეთის მცხოვრებ სომეხთა შვილებს.

დუშეთის ქალაქის რწმუნებულთა დადგენილება იმის შესახებ, რომ ზალინოვის ნაანდერძევი ქონება მიიღოს ქალაქმა, ტფილისის გუბერნიის მმართველმა სტეფანოვიჩმა წარუდგინა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს იმის გადასაწყვეტად: არის თუ არა ეს ანდერძი კანონიერი, რადგან ზალინოვი უფლებას არ აძლევს ქ. დუშეთს, როგორც თვითონ მოისურვებს, ისე მოახმაროს განათლების თანხის სარგებელი, არამედ ის ავიწროებს ამ უფლებას მცხოვრებთა ერთის ნაწილის სასარგებლოდაო. საკრებულომ განიხილა ეს საგანი და ზალინოვის ანდერძი სრულიად კანონიერად სცნო. „ტფ. ფურ.“.

⁂ [illegible]. კავკავში ამ ჟამად ფქვილის ფასმა შესამჩნევად დაიწია; მიზეზი ის არის, რომ რუსეთიდგან კარგის მოსავლის ამბავი მოდის.

⁂ დღეს, 23 მაისს, „გართობა და სარგებლობის“ თეატრში (სადაც წინად ცირკი იყო) პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად გამართული იქმნება სამუსიკო-სალიტერატურო დილა. როგორც პროგრამიდგან სჩანს, ეს დილა მეტად საინტერესო უნდა იყოს. პროგრამა მხოლოდ პუშკინის ნაწარმოებისაგან შესდგება: წაიკითხვენ იმის ლექსებსა და პოემებს და შეასრულებენ იმ რომანსებს, რომლის სიტყვებიც პუშკინის ლექსებია ნახმარი. ამას გარდა შეასრულებენ ორ სცენას „ევგენი ონეგინ“-ის ოპერიდგან. მონაწილეობას მიიღებენ: ა. ა. ტხორჟევსკაია, თ. გ. შულცე, კ. ა. სავერინა, პ. გ. პისარენკო, კ. ს. ცხომელიძე, ო. მ. მასურიანცი, გუთა და ქალია ხორო და სხვანი. ბოლოს აპოთეოზი იქმნება გამართული. დაიწყება დილა ნაშუადღევის 12½ საათზედ. ფასები ყველასათვის ხელ-მისაწვდენია, 10 კაპ. 1 მანეთამდე; მხოლოდ ლოჟები 2 მან. 50 კაპ. 3 მანეთამდე ღირება. ეს დილა იმართება სცენის მოყვარეთა მიერ ბ-ნთ ცხომელიძისა და პისარენკოს მეთაურობით.

როგორც შევიტყეთ, ცხომელიძესა და პისარენკოს განუზრახავთ დააარსონ ტფილისში განსაკუთრებული საზოგადოება, რომელსაც აზრად ექმნება სახალხო და ხელ მისაწვდენ სათეატრო, სამუსიკო და დრამატიულ წარმოდგენების გამართვა. დამაარსებელთ უკვე შეუმუშავებიათ წესდება, რომელსაც ამ ახლო მომავალში წარუდგენენ მთავრობას დასამტკიცებლად. საზოგადოების საგანი იქმნება ყველასათვის ხელმისაწვდენი წარმოდგენები გამართონ და ამასთან ისეთი, რომ გართობაც შეაძლოს და სარგებლობაც მოუტანოს ხალხსათვის. ასეთი წარმოდგენები, როგორც საოპერო, აგრეთვე სამუსიკო და დრამატიული მართლაც რომ დიდ სარგებლობას მოუტანს ღარიბ ხალხს, რომელთაც ხელ-მოკლეობისა გამო არ შეუძლიათ ძვირფასიან თეატრში სიარული. ამიტომ გულსურვებით წარმატებას ბ-ნთ ცხომელიძისა და პისარენკოს მიერ განზრახულ საქმეს.

⁂ მტკვარმა ამ ჟამად იმდენად დაიკლო, რომ მოსალოდნელი აღარ არის რიყე წყალმა დაჰფაროს, თუ, რასაკვირველია, ტფილისის ხევთ ნიაღვარი არ მოვარდა.

⁂ ამას წინად გაზ. „Нов.“-ი იუწყებოდა, რომ 11 მაისს პეტერბურგში ერთმა ყირიმელმა თათარმა „კავკასიის რესტორანის“ პატრონი ლ. ი. დგებუაძე დაჰკრა. იმავე გაზეთის სიტყვით დგებუაძე ამ კრილობისაგან მეორე დღესვე გარდაცვლილა.

◆

წერილი ფოთიდგან

გურია-სამეგრელოს ეპარქიაში გავრცელებული არის ყალბის სანთლის გაყიდვა. ეს გარემოება ხელს უშლის საეპარქიო სანთლის ქარხნის მოქმედებას. ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე მეტად დიდს ყურადღებას აქცევს ამ ქარხანას. ქარხნის საქმეთა მმართველი ბლაღოჩინი მღვდელი არსენ თოხაძე და გამგე კომიტეტი დროსა და მეცადინეობას არა ჰზოგავენ ამ ქარხნის გაუმჯობესებისათვის. ქალაქის თვით-მმართველობაც, საკმაო ფული დახარჯა ქარხნის შენობის შეკეთებისათვის. მაგრამ, თუ ეპარქიაში ყალბის სანთლის გაყიდვა არ მოისპო, ქარხნის საქმე ვერ მიაღწევს სასურველს სიკეთეს. ამიტომ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ მისწერა ამიერ კავკასიაში აქციზის გარდასახადთა მმართველს და ქუთაისის სახაზინო პალატას და სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნება, დაავალეთ აქციზის მოხელეთ და ხარჯის ამკრებ ინსპექტორებს, თვალყური ადევნონ ყალბის სანთლის გაყიდვასა და ვისაც ყალბი სანთელი აღმოუჩნდება, ოქმი შეუდგინონ და სამართალში მისცენო.

აქციზის გარდასახადთა მმართველმა უკვე აცნობა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს ალექსანდრეს, თქვენის თხოვნის თანახმად, განკარგულება გავეცი, რომ აქციზის მმართველობის მეორე ოლქის მოხელეებმა დუქნების დათვალიერების დროს ყურადღება მიაქციონ აგრეთვე სანთლის გაყიდვას და თუ სადმე ყალბი სანთელი ჰნახეს, ოქმი შეადგინონ და გაუგზავნონ გურია-სამეგრელოს კანცელარიასო, ხოლო თვით კანცელარია ოქმს სასამართლოს გადასცემსო.

ვინაიდგან დანაშაულის აღმოჩენისათვის აქციზის მოხელეს ეძლევა სახვედრი იმ ჯარიმისა, რომელსაც დამნაშავეს სასამართლო მიუსჯის, ამიტომ ეჭვი არ არის, რომ განკარგულება აქციზის გარდასახადთა მმართველის მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩება დაწერილი: აქციზის მოხელენი, თავიანთისავე სარგებლობისათვის, ისეთსავე სასტიკს ყურადღებას მიაქცევენ ყალბის სანთლის გაყიდვას, როგორც სხვა თავისს მოვალეობას და იმედია, ყალბის სანთლის გაყიდვა მალე შემცირდება და ამით ეპარქიის ქარხნის საქმე თანდათან [illegible] წავა.

ყველა მისი ნომრები ამ სიტყვების საბუთად. მგონი, ერთი ნომერიც ვერ წაუვიდეს იმ განაცდელს, რომ რამდენიმე ასეთი ,,ობოლი მარგალიტი‘‘ არ იქნეს შიგ გამოკერილი. ამ ლანძღვამ შეიძლება სხვაგანაც ატეხა ლანძღვა. მისატევებელი არც ერთია, მაგრამ ვფიქროთ ცოდვილნი, რომ ესეთ მდაბალ საშუალებათა განძლიერებულნი, რომელნიც ესე სისტემატიურად „ხან სხვას კბენენ, ხან თვისკენებს“, რომ სხვა არა ვთქვათ-რა, მეტად და მეტად უკაცრაონი არიან ლიტერატურის სიწმიდესა და საზოგადოებასთან. თუ არა და გადვიკითხოთ კიდევ ის ადგილი, სადაც ამ ბოლოს წერილებში ბ-ნი ილია სწერს: „—მწერლობა იმისთანა საქმეა, სადაც ტყუილსა და ჭორს ადგილი არ უნდა ჰქონდეს და სხვ.“ მაშასადამე ლანძღვას?

. . . . . .

რას არის ყველა ეს? საით მივისწრაფით? ჟორდანიისაკენ? თუ... მაგრამ სხვა გზა არ ვიცი. მაშ კაპიტალიზმის „სტრისაკენ“, ან... მაგრამ არც აქ ვიცი. ვიცი მხოლოდ ერთი რამ: „სინათლე, მეტი სინათლე!“ დიადი სიმპატიური რამ არის.., მოძრაობა, მოქმედება, აზრთა გაცვლაც შეხვთქებაც—დიადი ბრძნული ნარჩევია... მაგრამ რა უნდა ყველა ამას? საქეო, ასე მიამბობ ბავშვობისას გადიამ.. ოო, უსაქმობაო, მეუბნებოდა ცხონებული გადია, ნავი განსაკუთრებით ღელვის დროს და ისედაც ზღვაში მეტად საფრთხილო რამ არისო. ვინ იცი ზოგჯერ ერთის ახრით წასული, რომელ მხარეს მოექცევიო!.. სულელი თუ იყო-თქო ჩემი გადია, ვამბობ ეხლა ზოგჯერ. რატომ ვამბობ კიდევ, თქვენ მიხვდით. კარგია გამოცანების წერა თურმე. ეს ამ მონაქცევზედ გავიგე...

მაგრამ მაინც მებრალები, შენ, ჰოი ახალო თაობა, რომელიც თუ არ მიხვდი შენს ისტორიულ და ჟორდანია-კვალის მიერ შემეცნებულ როლს, მონათა მონად, მდაბიო ყმად გარდაიქმნები. კი, ჩახედი ჰკუას, მაგრამ საჭე, საჭე!..

გამოცანას მოგახსენებდით და მაშ მეც ვიყო

გამოცანა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. აკეთი, (გურია). 16 მაისს აქ მოვიდნენ ოზურგეთის ქალაქის მოურავი თავ. ნ. თავდგირიძე, დ. გაბუნია და ბოქაული ბ-ნი იოსელიანი, საზოგადოების საგანგებო ყრილობაზედ დასასწრებლად. როდესაც საზოგადოებამ თავი მოიყარა, თავ. ნ. თავდგირიძემ წინადადება მისცა, რომ სამასი მანეთით დახმარება აღმოუჩინა იმ ორ კლასიან სამრევლო სასწავლებლისათვის, რომელიც მთავრობის განკარგულებით გურიაში უნდა დაარსდეს, მაგრამ იმ პირობით, რომ ვიშუამდგომლოთ, რათა ეს სასწავლებელი უთუოდ ნაგომარზე გაიმართოსო. რადგან აკეთსა და ნაგომარს ერთი მეორისაგან მდინარე სუფსა ჰყოფს, თავ. თავდგირიძე შეჰპირდა საზოგადოებას, რომ ვეცდებიო აგრეთვე, ამ მდინარეზედ რკინის ხიდი გაგვიკეთოს მთავრობამაო. საზოგადოებამ მიიღო თავ. თავდგირიძის წინადადება და განაჩენი დაადგინა გარდაიხადოს სამასი მანეთი, მაგრამ იმ პირობით, თუ ხსენებული სასწავლებელი ნაგომარზედ იქმნება. ამ სამასი მანეთიდგან ასი მანეთი თავად-აზნაურობამ იკისრა და გლეხებს დარჩათ გარდასახდელად ორასი მანეთი. საზოგადოებამ მადლობა გარდაუხადა თავ. ნ. თავდგირიძეს და ნასიამოვნები დაიშალა.

ჩვენში დიდი სიცხეები და დიდადაც შესწუხა ხალხი, მაგრამ უფრო შესწუხა და დააზიანა აბრეშუმის ჭია. ვინ არ იცის, რომ გურიაში მეაბრეშუმეობას დიდი ადგილი უჭირავს. აი სწორედ ამ დროს, როდესაც ცახზედ უნდა ასულიყო ჭია პარკის გასაკეთებლად, მოუსწრო უზომო სიცხემ და თბილმა ზენა ქარმა და დიდი ზარალიც მიაყენა. წელს მაინც შარშანდელზე გაცილებით მეტი ჰყავთ გურიაში ჭია; ყველას ეგონა, ბჟოლას (თუთის) ფოთოლს გასასყიდლად გამოვაო, მაგრამ მოსტყუვდნენ. გოდორ ბჟოლში 1—2 მანეთს იძლევიან, მაგრამ კიდევ ვერ შოულობენ გასასყიდს.

ამბობენ,—წელს ბევრი არიან პარკის მყიდველი გაჩენილნიო, მაგრამ საქმე ის არის, რომ შეიძლება ამის გამო ფასი ნაკლები დაუჩნდეს პარკს. ამიტომ კარგს იზამს გურიის ამხანაგობა, ღონისძიების გამოძებნას ეცდება შეეძლებოდეს, რომ კერძო კაცებმა არ დასცენ პარკის ფასი და სოფლის ხალხს ტყუილად არ ჩაუაროს ამდენმა შრომამ.

ვლასა მგელაძე

წვრილმანი

VIII

კავკასიის ფლორა, გ. ლიპსკისა.

პეტერბურგში იბეჭდება ჩვენთვის ფრიად საყურადღებო წიგნი, რომელშიაც აწერილია ყოველი მცენარე, რაც-კი დღევანდლამდე მეცნიერებას კავკასიაში აღმოუჩენია.

წიგნის ნახევარზედ მეტი, ოთხი თავი უკვე დაბეჭდილია. პირველ თავში მოთავსებულია სრული და დაწვრილებითი სია კავკასიის ბოტანიკის შესახებ თხზულებებისა. მოყვანილია ოთხასამდე სხვა-და-სხვა ენაზედ დაწერილი თხზულება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდგან დღევანდლამდე. ტანფორიდგან დაწყებული ალბოვამდე (ფლორა შავის ზღვის პირისა), რადდემდე, რომელიც ჰბეჭდავს თავისს შრომას „გეოგრაფიული განწყობილება მცენარეებისა კავკასიაში“ და აკინფიევამდე—„ფლორა შუაგულ კავკასიისა“. მოყვანილია სრული სახელწოდება ყოველის თხზულებისა და მოკლედ მისი მეცნიერული ღირსებანი და წუნი. ამ თხზულებათაგან 180 მდე რუსულ ენაზედ არის დაწერილი, 90-მდე გერმანულზედ, 75 ლათინურზედ, 25 ფრანგულზე და სხვანი. სიაში აღნიშნულია მარტო ცალკე დაბეჭდილი თხზულებანი, რადგან სრულიად შეუძლებელია კაცმა თავი მოუყაროს სპეციალურ ჟურნალებში გაფანტულ მონოგრაფიებს და სტატიებს.

მეორე თავში განხილულია ხელნაწერი თხზულებანი კავკასიის ფლორის შესახებ, რომელნიც ავტორს პეტერბურგში სამეცნიერო აკადემიის ბოტანიკურ არხივში უნახავს.

მესამეში აწერილია გამოჩენილი ჰერბორიები კავკასიურ მცენარეებისა.

მეოთხეში მოთხრობილია ისტორია კავკასიის ფლორის გამოკვლევისა. ისტორიული განხილვა იწყება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდგან, სახელდობრ ტანფორიდგან და დღევანდელ მეცნიერებით—ალბოვით, და სომმიეთ, ლევიეთ, რადდეთი თავდება. მართალია, ბერძნულ, რომაელ და ბიზანტიურ მწერლობაშიც მოიპოვება წვრილმანი ცნობები ჩვენის ფლორის შესახებ, მაგრამ იგინი მოკლებული არიან მეცნიერთ მნიშვნელობას. ესეც რომ არ იყოს, ბოტანიკური მეცნიერული ტერმინოლოგია ლინნეს ხნიდგანა გვაქვს და უამისოდ-კი, ცარიელის აღწერილობით, ყოვლად შეუძლებელია მცენარის დანამდვილებით ცნობა. ტანფორის შემდეგ მოხსენებულნი არიან პეტრე ძლიერის მიერ ბოტანიკურ გამოკვლევათათვის კავკასიაში გამოგზავნილი შობერი და ბურსბაუმი, მერე ზიბერშტეინი (1808—1819) და სხვანი თავიანთი ბიოგრაფიებით.

თვით ფლორა მეხუთე თავშია მოთავსებული. მცენარეთა აღრიცხვა იმავე რიგზედ არის დაწყობილი, რა რიგითაც ბუასიემ თავისი „ფლორა აღმოსავლეთისა“ დაწყო. ყოველ მცენარესთან მოხსენებულია სადა გვარობს და რა სიმაღლეზედ. სულ ყვავილიან მცენარეთა რიცხვი (ჩადუნებიც რომ მივათვალოთ) ოთხი ათასამდე გვარია, მთელის ათასით მეტი, ვიდრე მთელს ევროპიულ რუსეთში მოიპოვება. ამას ისიც უნდა დავძინოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ ბევრი ადგილი რჩება მეცნიერულად შეუსწავლელი და, მამასადამე, ნამდვილად ჩვენებურ მცენარეთა გვართა რიცხვი ოთხ ათასზედ გაცილებით მეტი უნდა იყოს და იქნება ამ მხრივ საქართველო არც-კი ჩამოუვარდეს იტალიას (5000 გვარი) და ესპანიას (5600 გვარი).

?

საისტორიო შენიშვნა.

—

„Новое Обозрѣніе“-ს გასულის მარტის ნომრები გადავათვალიერე და შიგ ვიპოვე, აღარ მახსოვს თარიღი, ისტორიული მონოგრაფია თამარ მეფის შესახებ, მ. გიორგიძის მიერ ხელ მოწერილი. ბ. გიორგიძის ოპტიმისტობა ცოტა საზღვარს გადადის, როცა გულის-სიწრფელებით აღიარებს, რომ თამარ იმდენად სახელოვანი და ძლიერი იყო, რომ დედოფლის მაგიერ მეფედ იწოდებაო. შესაძლოა ბ. გიორგიძემ დაიმოწმოს ჩუბინაშვილი, რომელიც თავის ახალ ქართულ-რუსულ ლექსიკონში ამბობს, რომ საქართველოში თვით-მპყრობელნი ქალნი მეფედ იწოდებოდნენო, მაგრამ არც ეს არის შესაწყნარებელი. თვით-მპყრობელობას მეფე-კი არა, ხელმწიფე ნიშნავს, ზოგადი სახელი ისე, როგორც მეფე იყო ძველად მამრისა და მდედრის თანასწორ გამომხატველი. სუფიქსი ფ ანუ ფალ სანსკრიტულ ენაში აღნიშნავს ძალას, ხელსა და მის მონათესავე ქართულშიაც ამ აზრითვე იხმარება. აი ამის მაგალითებიც: უფალი, უფლება, ფლობა, მეუფე, სუფევა, სასუფეველი, სეფე, სეფის კვერი და სხ. ასე რომ მეფე, რომელიც გრამატიკულად აწმყო მიმღეობა არი, ითარგმნების ძალის მქონედ, ხელმწიფედ და, მაშასადამე, შეიცავს ორთავ სქესსა. ამის შემავალი მამრი არის მამფალი, სიტყვა, რომელიც ძველად საქართველოში ერქვა მფლობელ მთავარსა და რომელიც ხმარებაში გამოვიდა, რა კი პოლიტიკური ხელმწიფება განვითარდა და მის მაგიერობა დაიჭირა მეფემ, რომელიც, როგორც ვხედავთ თამარ-დედოფლის მაგალითით, ქალსაც ეწოდებოდა, ზოგად სიტყვად და არა მარტო სახელ-დიდებისა და ძლიერების აზრით ხმარებულ და მას შემდეგ კი დაესაკუთრა მარტო ხელმწიფე კაცსა და ეხლაც ასე გვესმის. ხოლო ხელმწიფე ქალის აღსანიშნავად იყო და ეხლაც არის (დედუფალი, დედოფალი).

თუ ზოგადი სახელი ქართულ ენაში მამრს დაეკუთნა, იმის მაგალითიც არის, რომ მდედრსაც დაკუთვნებოდეს. ზოგიერთ უვიცს სიცილად არ ეყოფა, როცა ჩუბინაშვილის ლექსიკონში ამოიკითხავს ხოლმე „მამალ ზროხას“, მაგრამ აქ საცინელი არაფერია, თუმცა, მართალია, ეხლა ასე ვეღარ ვიტყვით. ზროხა ძველად ნიშნავდა ხარსაც და ფურსაც და იმ დროსავე ისეთ პირუტყვსაც, რომელიც ზორვად, წირვად ანუ შესაწირად ვარგოდა, თუ იხმარებოდა ამას ცხადს ჰყოფს ისტორიის გარდა შემდეგი ჩვენებური სიტყვებიც: ზვარა, ზვარაკი, მოზვერი, სამზვარეულო და სხ. დროს განმავლობაში ზროხა ძროხად გადაქცეული ფურს დაეკუთნა და დღეს ფური ზროხის მაგიერ ვამბობთ ძროხას და ხარი ზროხის მაგიერ კი მარტო ხარსა. ძროხა რომ ძველად ზოგადი სახელი იყო, ამას ნათლად გვიმტკიცებს აწინდელი ცხოველი სიტყვა: ძონ-ძროხა იგივე ძუ (ონ) ძროხა, ე. ი. დედალი ძროხა, რომელსაც დღეს ზოგიერთნი ქალის დასამცირებლად ხმარობენ, ამისთანა საინტერესო მოვლინება ქართულის ენის განვითარებაში ბევრია და სამწუხაროა, რომ ჩვენს ენას ამ მხრივ არავინ სწავლობს და მატიანეში ხმარებულ სიტყვებს კი ჩვენი მეისტორიენი ისე ხსნიან, როგორც თვითონ უჯობსთ, გორგასლანის განმარტებისა არ იყოს.

პეტრე მირიანაშვილი

რუსეთი

—

უწმ. სინოდმა გადასწყვიტა სავალდებულო შეიქმნეს ყველა ეპარქიებში საზაფხულო საპედაგოგიო კურსების გამართვა, როგორც წერა-კითხვის სკოლებისა, ისე სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთათვის კურსები უნდა გაიმართოს თითოეულს იმ რაიონში, რომელიც ექვემდებარება ადგილობრივ სამასწავლებლო საბჭოს განყოფილებას, ხოლო სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის კურსები გაიმართება ერთს ადგილას მთელს ეპარქიაში.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, სენატმა საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ ქალაქ ვლადივოსტოკში დაარსებულ იქმნას აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტი. ამასთან ინსტიტუტი ფინანსთა სამინისტროს-კი არ დაექვემდებარება, როგორც განზრახული იყო, არამედ საერო განათლების სამინისტროს. ჩინურისა და იაპონურის ენების სწავლება ინსტიტუტში ყველასათვის სავალდებულო იქმნება.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, წელს სატყეო ინსტიტუტში საკონკურსო გამოცდა არ იქმნება. ახლად შესულ სტუდენტებს უეგზამენოდ მიიღებენ. თხოვნების გაგზავნა პირველ ივლისამდე შეიძლება.

უცხოეთი

—

კრიტი. კრიტის გენერალ-გუბერნატორმა ახალი პროკლამაცია გამოსცა კრიტის მაჰმადიანთა საყურადღებოდ. როგორც ვიცით, წარსულ არეულობის დროს ქრისტიანებმა ბევრს მაჰმადიანს დაუნგრიეს სახლ-კარი და მათის ადგილ-მამულიდგან განდევნეს. ეხლა, როცა კუნძული დამშვიდდა და მოქალაქობრივი ცხოვრება დამყარდა იქ, მთავრობა ცდილობს გადახვეწილი მაჰმადიანები დააბრუნოს წინანდელს მათ სოფლებში, მაგრამ ბევრგან ამ მეცადინეობამ ტყუილად ჩაიარა. თავიანთ სოფლებში დაბრუნების ნაცვლად, ბევრი კრიტელი მაჰმადიანი ოსმალეთში გადასახლებას არჩევს, და ამის მაგალითი კიდეც იყო რამდენჯერმე. რასა თქმა უნდა, ოსმალეთის მთავრობა ჩუმად ხელს უწყობს კრიტის მაჰმადიანთა ემიგრაციას, ხოლო თვით კრიტის მთავრობისათვის-კი ეს ერთობ უბედურო მოვლენაა, რადგან ამით კრიტის მკვიდრ მცხოვრებთა რიცხვი კლებულობს და მეორეც კიდევ—სახელი უტყდება კრიტის ახალ მთავრობას. ამ მიზეზით აიხსნება, რომ გიორგი ბატონიშვილმა რამდენჯერმე გამოსცა პროკლამაცია და ყოველთვის ურჩევდა მაჰმადიანთ, არ დაეტოვებინათ მამა-პაპეული მიწა-წყალი და ოსმალეთში არ გადასახლებულიყვნენ. ეხლანდელს პროკლამაციაში ბატონიშვილი შესამჩნევს დახმარებას ჰპირდება მაჰმადიანთ, რომელიც ერთობ გაუძღვებიან მათ თავიანთ სოფლებში დაბრუნებას.

ვინსაც სახლ-კარი დაენგრა არეულობის დროსა,—აცხადებს ბატონიშვილი,—იმას მუქთად მიეცემა საშენი ხე-ტყე და ამ მასალას მთავრობა გადაიტანს საჭირო ადგილას თავისის ხარჯით; ვინც ხელ-მოკლე კაცია, შეძლება არ აქვს თავისით გაიწყოს სახლ-კარი, იმას მთავრობა აუშენებს ანუ განუახლებს სახლებსო; გარდა ამისა თითოეულს ოჯახს პირველად ხელის მოსამართად მთავრობისაგან მიეცემა 500 ფრანკი და მუქთად პურიო.

—

დანია. ქარხნის პატრონთა კავშირის გამგეობამ დაადგინა შეაწყვიტოს მუშაობა მრეწველობის თერთმეტის დარგის ყველა ქარხნებში იმ დრომდე, ვიდრე მუშათა კავშირები არ დაეთანხმებიან მექარხნეთ იმ მოთხოვნილებაზედ, რომ მათ, მექარხნეთ უფლება ჰქონდეთ გაანაწილონ სამუშაო თავიანთს ქარხნებში თავიანთის ნებისამებრ და აიყვანონ მხოლოდ იმდენი მუშა, რამდენიც მათ მიაჩნიათ საჭიროდ. ამ დადგენილების მოხსენებით 30,000 მეტს მუშას სამუშაო მოესპობა. ამ უმუშევრად დარჩენილ მუშათა და მათი ცოლშვილის შესანახად საჭიროა კვირაში არა-ნაკლებ ერთ მილიონ კრონისა (კრონი უდრის 1 მან. და 60 კაპ.), ქარხნის პატრონთა კავშირის გამგეობა ემუქრება მუშებს, თუ ერთის კვირის განმავლობაში არ დაეთანხმებით ჩვენს წინადადებაზედ, მაშინ ჩვენს დადგენილებას გავავრცელებთ მრეწველობის ყველა დანარჩენს დარგებზედაცაო. მუშათა კასაში ამ ჟამად არის არა უმეტეს ნახევარ მილიონ კრონისა, მუშათა დასში დიდი მოძრაობაა. ახალგაზრდა უცოლშვილო მუშები ყურთანაც არ იკარებენ მექარხნეთა მოთხოვნილებას, ხოლო ხნში შესულს და ცოლ-შვილიანს მუშებს-კი ყოყმანი ეტყობათ. ჰფიქრობენ, რომ ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლო იქნება და გასტანს მანამდე, ვიდრე ერთ-ერთი მებრძოლი მხარე მთლად არ დაუძლურდება. როგორც იუწყებიან, მუშათა კავშირების გამგეობა ამ მოკლე ხანში განკარგულებას მოახდენს, რომ საყოველთაოდ გაიფიცნენ და მუშაობა აჰკვეთონ გაზისა და ნავთ სადგურების მუშებმა, რათა ამით დიდი ზიანი მიაყენოს მრავალს სამრეწველო და საკომერციო დაწესებულებას. მოსალოდნელია, რომ ასეთი განკარგულება გამოიწვევს სასტიკ ზომებს მექარხნეთა მხრივ.

—

სპარსეთი. „ს.-პეტერბურგის უწყებანი“ ერთ გერმანულ გაზეთიდგან შემდეგი ცნობები მოჰყავს სპარსეთის შაჰის შესახებ:

„თითქმის სამი წელიწადია, რაც ახალი შაჰი მეფობს, მაგრამ ის რამდენიმე დაახლოებულ კაცის ხელშია და ქვეყნის მდგომარეობას სრულებით ვერ იცნობს. ამის გამო ქვეყანაში გაბატონებულია მხოლოდ ძარცვა-გლეჯა. ჯარის-კაცნი ჯამაგირს ვერ ღებულობენ. მასწავლებლებს, მოხელეებს და სხვათ, აგერ სამი წელიწადია, ჯამაგირი არ მიუღიათ, მაგრამ ჩივილი არ შეუძლიანთ. თუ რამე შემთხვევით ფულის მიღების დრო მოვიდა, იმათ ნახევარი თავიანთი ჯამაგირი უფროსებს უნდა მისცენ, რათა ერთი ნახევრის მიღება მაინც შეეძლოთო“.

დამაკვირდა

დიდსა საქმეს ნუ დაავდებ,
ბოლოს კარგად არ მოჰხდების.

როსტომიანი

* * *

კალამი მკვიდრად ესმის ეტრატსა მხოლოდ კაცისა მის, რომელიც აზროვნობს საფუძვლიანად.

ლასურ ძე

* * *

კაცი მომიღი მომზოვნელ არს სიზმართა, რამეთუ მიღი მესაიდუმლოე არს არა სიზმართა, არამედ ოცნებათა.

წმ. გრიგოლ.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ყოველ წელიწადს შვეიცარიაში, ბერნის კანტონში იმართება ხოლმე თოფის მსროლელთა დღესასწაული, რომელსაც სახელად ქალების დღესაუწაულს ეძახიან. ქალების დღესასწაულს იმიტომ ეძახიან, რომ ყველა მსროლელს შეუძლიან წაიყვანოს თან ერთი ქალი: ცოლი, და, ან კარგი ვინმე ნაცნობი. ეს დღესასწაული ძალიან წააგავს ჩვენებურს დღეობებს. იმ ადგილის მცხოვრებნი, სადაც დღესასწაული იმართება, მასპინძლობას უწევენ როგორც ყმაწვილ კაცებს, აგრეთვე ქალებს. საღამოთი, თოფების სროლის შემდეგ, დიდი ნადიმი და ცეკვა იმართება, რომელშიაც ყველანი იღებენ მონაწილეობას. საყურადღებოა ეს დღესასწაული იმითი, რომ ამ დროს ყმაწვილი კაცები სინჯავენ ყმაწვილს ქალებს და საცოლეებს ირჩევენ. ასეთს დღესასწაულს ყოველთვის რამდენისამე ყმაწვილი ქალის და კაცის დანიშვნა მოსდევს.

* * *

ამერიკულ გაზეთების სიტყვით, ვაშინგტონის შტატის ქალაქ ოლიმპიაში დაარსდა მეტად უცნაური ხე-ტყის მწარმოებელი ამხანაგობა. თუმცა სახელად ამხანაგობას „ხე-ტყის მწარმოებელი“ ჰქვიან, მაგრამ წესდებით შეუძლიან სხვა წარმოებასა და საქმესაც მიჰყოს ხელი, როგორც, მაგალითად, ქვა-მადნების წარმოებას, მეურნეობას, ბაღოსნობას, საქონლის მოშენებას და სხვას. საზოგადოების ძირის თანხა შესდგება „ერთის მილიონის სამუშაო საათისაგან“, რომელიც 1000 პაით არის გაყოფილი; თითო პაი ათას სამუშაო საათს შეიცავს.

* * *

შამილის რუსებთან ბრძოლის დროს, როგორც ვუწყით, კავკასიის მთის თითქმის ყველა ერმა მხარი დაუჭირა დაღესტნის იმამს და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდა. ომში არა მარტო მამაკაცები, ხშირად დედაკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. ისტორიამ რამდენისამე ასეთის დედაკაცის სახელი დაგვიტოვა. 1842 წელს პოდპოლკოვნიკის სულიმოვსკის რაზმს შეტაკება ჰქონდა ჩეჩნებთან თერგის ოლქის სოფელ დიდ ანდირკში. ჩეჩნებს წინამძღოლობდა შამილის ნაიბი ახვერდი-მაგომა. კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ ჩეჩნები დამარცხდნენ; ამასთან რუსებმა 23 კაცი ტყვედ ჩაიგდეს. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი ამ ტყვეთაგანი ტამახან მალოვი ქალი ყოფილა. მალოვმა განაცხადა, რომ უკვე 10 წელიწადია, რაც მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას ვიღებ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ, გაიგო რა ეს ამბავი, მოიწადინა მეომარის ქალის ნახვა, ამიტომ ბრძანება გაუგზავნა ჯარის უფროსს, ჩეჩნის ქალი აქ, პეტერბურგში გამოგზავნეთო. 1842 წლის ივლისს, ახალგაზრდა ქალი პეტერბურგში ჩაიყვანეს და ხელმწიფესა და დედოფალს წარუდგინეს. დედოფალმა მამაცს ქალს აჩუქა ოქროს ძეწკვი ძვირფასის თვლებით მოჭედილი. შემდეგ მალოვი ისევ კავკასიაში გამოგზავნეს და ქალაქ გროზნაში დაასახლეს. ამ ქალაქში ტყვე ქალი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ცხოვრების სახსარი სულ გამოელია. ბოლოს რომ ვეღარაფერი გააწყო, დედოფლის მიერ ნაჩუქები ნივთი მალოვმა უკანვე გაგზავნა და იმის ნაცვლად ფული მოითხოვა. თხოვნაში ჩეჩნის ქალი ამბობდა, რომ გასასყიდათ თქვენგან ნაბოძები ძვირფასი ნივთი ვერ გავიმეტე, ამიტომ უკანვე გიგზავნითო. 1843 წლის გასულს უმაღლესი ბრძანება მოუვიდა ჯარის უფროსს, რომ 200 მანეთი მიეცით ჩეჩნის ქალს და ძეწკვიც უკან დაუბრუნეთო. ოფიციალურ ქაღალდებიდგან აღარაფერი სჩანს, ამის შემდეგ რა მოუვიდა მალოვს, გროზნაშივე დასტოვეს, თუ განთავისუფლეს და სამშობლოში გაისტუმრეს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მაისი

ქაირო. ავადმყოფობა, რომელიც ალექსანდრიაში აღმოჩნდა, მართლაც შავი ჭირი გამოდგა, მაგრამ უბრალო, და არა გადამდები. არავითარი ეპიდემია არ არსებობს.

პარიჟი. საკასაციო სასამართლოს სხდომა დაიწყო შუადღეზედ. მორნარმა დაიწყო თავისი სიტყვა, რომელიც 5 საათს უნდა გაგრძელდეს. იმან სთქვა, რომ იმედი მაქვს ჩემს მიზანს მივაღწიო, რომელსაც ბევრი ხანია ველტვიო, საჯეროდ აღიარებას იმისას, რომ დრეიფუსი უდანაშაულოაო. მორნარმა შეაქო წარსული ცხოვრება დრეიფუსისა.

პარიჟი. საუზმეზედ ლოკრუამ მარშანის სადღეგრძელო დალია და სთქვა, რომ იმან პატივისცემა მოუტანა მხედრობას, რომელსაც თითონვე ეკუთვნისო. თქვენ შორს დგეხართ ჩვენ შინაურს განხეთქილებაზედ და ქვეყნის სამსახურის მეტი იდეალი არა გქონიათ-რაო. მარშანმა მადლობა გარდაუხადა მინისტრს იმისთვის, რომ მას ესმის, რომ სალდათი მონაწილეობას არ უნდა ღებულობდეს განხეთქილებაში: მე ვსწუხვარ იმათთვის, მაგრამ მსჯელობას არ ვიქონიებ მათზეო. მარშანმა მადლობა გარდაუხადა შემდეგ მთავრობას და ლუბესა და ლოკრუას სადღეგრძელო დალია. საუზმის შემდეგ, გილენმა გარდასცა მარშანს და მის ამხანაგებს სამახსოვრო საახალშენო მედალი; შემდეგ, სამხედრო ბექდვითი სიტყვის დელეგაციამ—ხმალი, ხელის მოწერით შეგროვილ ფულით ნასყიდი. 3 საათზე მარშანი ლოკრუასთან ერთად ელისეს სასახლეში წავიდა.

21 მაისი.

პეტერბურგი. 19 მაისს გზათა მინისტრი ციმბირის რკინის გზის დასათვალიერებლად წავიდა, და სანამ დაბრუნდებოდეს, სამინისტროს საქმეების გამგეობა ჩააბარა თავისს ამხანაგს ინჟინერ-გენერალ-ლეიტენანტ პეტროვს.

ვარშავა. ბანკირმა იოსებ ლანდაუმ საქველ-მოქმედო საქმეებს შესწირა 287,900 მანეთი, რომელთაგან 100,000 მანეთი—ვარშავის ებრაელთა საზოგადოებას და 75,000 მან. ებრაელთა თავ-შესაფარ შენობის ასაგებად.

პარიჟი. საკასაციო პალატა. იმ ხმებს, ვითომც დრეიფუსი გამოტეხილიყვეს, მორნარმა ლეგენდა უწოდა; ხუთი სამხედრო მინისტრის აზრი არაფერს არ ამტკიცებსო, რადგან ერთისა და იმავე წყაროსაგან მომდინარეობდა იმათი აზრიო—საიდუმლო ბიუროსაგანო. ევროპა, მთელი ქვეყნიერობა გულის ფანცქალით მოელიან განჩინებასო. მორნარს სურს მოითხოვოს, რომ საქმე ახალ სასამართლოს გადაუცემლად გადასინჯოს, მაგრამ ქ-ნი დრეიფუსი მოწადინებულია, მისი ქმარი გაასამართლოს სამხედრო სასამართლომ. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ განჩინება შემდეგს სხდომაზედ დადგინდებაო, მაგრამ არ უთქვამს, როდის იქნება. კრება დაიშალა. რამდენიმე კაცმა მიულოცა მორნარს.

პარიჟი. 7½ საათზე პატი დე-კლამი დატუსაღებულ იქმნა რესპუბლიკის დარაჯთა აფიცრის მიერ და მიყვანილ Cherche-Midi-ის საპყრობილეში.

21 მაისი

ჰააგა. დღეს საპჭოდ შეიკრიბნენ მეორე კომისიის ორივე განყოფილებანი. განყოფილებამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ბრიუსელის 1874 წ. კონფერენცია, განაბჭო და შეიწყნარა პირველის წაკითხვით, მცირეოდენის ცვლილებანით, რედაქცია იმ მუხლებისა, რომელიც შეეხება მტრის სავნებელ საშუალებათ, შემდეგ მუხლნი ჯაშუშობისა და კერძო კაცთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის ხმარების შესახებნი. წითელის ჯვარის განყოფილებამ განიხილა ზოგიერთი საზოგადო დადგენილებანი, ხოლო გარდაწყვეტით არა გარდაუწყვეტიარა.

პარიჟი. სამხედრო საკრებულოში მარშანმა მიჰმართა ცურლინდენს და სთქვა, რომ ჩემი მისსია უფრო ღირსეულად იქმნა დაჯილდოვებული, ვიდრე სათანადო იყოო. ნილის სათავეებში ექსპედიციის დროს რაზმს სახიფათო არა შემთხვევია-რა, არავისათვის ზიანი არ მიუყენებია, არც ერთხელ თოფი არ დაუცლია, თუ ანგარიშში არ მივიღებთ უბინადრო კაცთა მიმართ მოქმედებას, რომელნიც ძარცვა-გლეჯით ჰსულდგმულობენო. ამიტომ იქაურნი მცხოვრებნი ფრანგებს თავისს განმათავისუფლებლებადა სთვლიან და უყვართ საფრანგეთი, რომლის სახელსაც კურთხევით მოიხსენიებენ მთელს დიდს სიყვარულით დაპყრობილს სახელმწიფოში. დასასრულ მარშანმა შეაქო თვისება და ღირსება საფრანგეთის აფიცრებისა და სთქვა, რომ ისინი სამშობლოს დაიცავენო.

პარიჟი. დრეიფუსის საქმე. სხდომის განახლებისათანავე მორნარმა განიხილა ის, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ბორდეროს ავტორს ჯაშუშობასთან და ამტკიცებდა, რომ ბორდეროს ავტორი ესტერგაზია, კარგი ნაცნობი უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაო. გამოძიებამ ცხად ჰყო, რომ იმ აგენტს, რომლისათვისაც განამზადეს ბორდერო, ესტერგაზთან კავშირი ჰქონია. „მე თქვენ წარმოგიდგენთო, სთქვა ვექილმა,—უტყუარსა და უეჭვო საბუთს დრეიფუსის სიმართლისას, ვამტკიცებ რა ესტერგაზის დანაშაულობასაო. როდესაც ესტერგაზს დანაშაული გამოუმჟღავნდა, იგი უცხო ქვეყნის აგენტთან წავიდა საჩქაროდ და სთხოვა, უარჰყავით, ვითომ ჩემთან კავშირი გაქვს რამეო. იმ აგენტმაც უარი განაცხადა და დაჟინებით გაიძახოდა დრეიფუსის უდანაშაულობას. მაშასადამე, დრეიფუსის უბრალოება უეჭვოდ დამტკიცებულია და საქმე უეჭველად უნდა გადასინჯულ იქმნას.

პარიჟი. დრეიფუსის საქმე. მორნარი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტნი შემქნელნი საბრალმდებლო განაჩენისა იყვნენო პატი-დე-კლამი და ანრი, რომლის ყოფა-ქცევაც გაახსენა სასამართლოს, შემდეგ მან შეაქო პიკარი, რომელსაც ლევნა დაუწყეს ვითომ სიყალბის ჩადენისათვის ანრის მიერ დაბეზღების გამოო.

პიატიგორსკი. ჟელეზნოვოდსკში სეზონი 20 მაისს დაიწყო. თბილი ამინდი სდგას.

პარიჟი. „Pepiublique“ დაბეჯითებით ამბობს, პატი-დე-კლამს, დაამწყვდიეს თუ არა საპატიმროში, თავისი მოკვლა უნდოდაო. მოგვყავს რა ეს ამბავი, სიმართლის თავმდებობას ვერ გავუწევთ.

პარიჟი. პატი-დე-კლამი დაპატიმრებულ იქმნა და ის ბრალი ედება, რომ სიყალბე ჩაუდენია და სიყალბით უსარგებლია. მისი დაპატიმრება გუშინ გარდასწყვიტა კრანმაც დიუპუისთან მორიგების თანახმად. ჯერ არ იციან, პატის საგამომძიებლო კომისიას გადასცემენ, თუ სამხედრო სასამართლოს. პატის დაპატიმრება სრულიად არ არის გამოწვეული კრანცთან მიწერილ წერილით, რადგან გუშინ საღამოს ეს წერილი ჯერ არა ჰქონდა მიღებული სამინისტროს. ეს გავრცელებული ხმა, რომ ვითომ გენერალი მერსიე დააპატიმრესო, საფუძველს მოკლებულია. ტყუილია ისიც, ვითომ სამხედრო გუბერნატორს განზრახვა ჰქონდა დროებით განეთავისუფლებინა პიკარიო.

22 მაისი

ჰელსინგფორსი. 7 მარტს ვიბორგის გუბერნიის კრასნოსელსკის საეკლესიო მართლ-მადიდებელმა მკვიდრმა, რიცხვით 1,363 კაცმა აღშფოთებულთ იმის გამო, რომ იმავე გუბერნიის ზოგიერთმა მცხოვრებლებმა ხელი მოაწერეს ყოვლად უქვეშევრდომილესს, 3 თებერვლის მანიფესტის შესახებს, ადრესს, კრებაზედ დაადგინეს მიისს იმპერატორებითს უდიდებულესობას განუცხადონ გრძნობანი რუსეთის თვით მპყრობელის მიმართ უსაზღვრო ერთგულებანი, რომლითაც აღსავსენი არიან, და ამასთანავე განაცხადეს, არა გვსურს, რომ ჩვენ იმათ თანამოზიარეთ ჩაგვთვალონ, რომელთაც ადრესზედ ხელი მოაწერესო. ყოვლად უქვეშევრდომილესად მოხსენდა-რა ესე, მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და 14 მაისს წარაწერა: „სიამოვნებით წავიკითხე და ვმადლობ“.

პარიჟი. საკასაციო პალატა დრეიფუსის საქმის შესახებ განაჩენს დღეს საღამოზედ ადრე ვერ დაადგენს. საქმის განჭოვა უკვე დაიწყო ხალხის დაუსწრებლად. კამათი ხანგრძლივ გასტანს, განსაკუთრებით განაჩენის დასაბუთების შესახებ.

ვარშავა. დღეს კავკასიის დაპყრობის 35 წლის შესრულების ნიშნად „რუსთა საკრებულოში“ სადილი გამართეს კავკასიის დაპყრობის დროს ჯარში მონაწილეთა და აქ სამსახურში ნამყოფთ. სადილს თავადი იმერეტინსკი დაესწრო. დეპეშები გაუგზავნეს დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და მინისტრად ნამყოფს გრაფ მილიუტინს.

ვენა. კომპოზიტორი შტრაუსი მძიმედ გახდა ავად მორჩენის იმედი არა აქვთ.

კერჩი. გაფიცულთ მუშაობა დაიწყეს.

გამოსადეგი ცნობა

თუ ხელის კანი დასქდა ვისმე სიცივისა ანუ სიცხისაგან, ამისი საუკეთესო წამალი ის არის, რომ ღამოის წვენი წაისვას ზედ, ხოლო დილით, პირის დაბანამდე, დაიზილოს ეს ადგილები თეთრის კაზელინით.

შემოწირულობა

მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის განსაახლებლად კომიტეტმა მიიღო მღვდლის ი. ჩიტაძისაგან შეგროვილი 36 მანეთი. შემომწირველნი არიან:

მღვდელი ი. ჩიტაძე 3 მან., იოსებ ი. ანდუაშვილი 1 მან., გიორგი ყითლანიაშვილი 1 მ., გრიგოლ მართალაძე 1 მან., ალექსი მაღრაძე 1 მან., ივანე ჯავახოვი 1 მ., ალექსი მიქელაძე 1 მან., შაქრო ბალახაძე 1 მან., თევდორე მაღრაძე 50 კ., ალექსანდრე ქანანოვი 1 მან., ყ. ფალავა 1 მანეთი, ზაქარია ვალიშვილი 50 კ., ვასილ ხაჩირაშვილი 50 კ., მაქსიმე ნადირაძე 1 მანეთი, სერგო წერეთელი 50 კაპ., დიმიტრი მელიქიძე 50 კ., სანდრო მიქელაძე 50 კაპ., ნ. შიუკაშვილი 1 მან,, რ. ხ. ერთი მან., ა. მეფისწვერიძე 1 მან., ტ. ბალაკოვი 1 მან., უთნელოვი 1 მან., იაკობ მიქელაძე 50 კაპ., მურად პავლოვი 50 კაპ., გიორგი კოკოლი 50 კაპ., ნ. მეფისწვერიძე 1 მან., ნიკ. გიორგაძე 1 მან., სიმონ გეგიძე 50 კაპ., გიორგი ზედგინიძე 1 მან., სიკო თულაშვილი 2 მან., ტიგრან პოტოსოვი 50 კ., ვლადიმერ გამყრელიძე 3 მან., პარუჩიკი გორდატი 50 კ., ელიშა ბასტურმანოვი 2 მან., ბარბარე მუტორი 1 მან. და ნიკო ჯავახიშვილი 1 მან.

„ივერიის“ ფოსტა

გ. დ. კ—შვილს. ვერა გავიგეთ-რა თქვენის წერილისა.

ხაკო უჩარდია. პირდაპირ სოხუმის ხმოსნებს მიჰმართეთ და მათ აუწყეთ თქვენი წინადადება.

ა-ლის. „მშვიდობით“ მივიღეთ.

საჩურგლიელს. არ დაიბეჭდება.

ეწრელს. კუხში მომხდარ მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის კრების ანგარიში უკვე გვქონდა ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი.

ქ. პეტ—ბი. ა. დ. გაბ—სას. ადრესის გამოცვლა ტფილისს გარეთ ქალაქიდგან ქალაქში ჰღირს ორი აბაზი. მივიღეთ ხუთი მან. გაზეთის დასაკვეთი ფული.

განცხადებანი

ქ. ოზურგეთში

ბაიაზეთის ქუჩაზედ

ისყიდება კარგი ქვითკირის **სახლი** 1700 საჟ. ეზოთი, სადაც ჩინებული წყაროა. ბანკის ვალი 2500 მ. ხელად მისაცემი 6000 მ., წლის შემოსავალი სამხედრო მმართველობისაგან 1000 მ. იკითხეთ: ცნობის შესატყობ დიდებულიძის კანტორაში, ბარიათინსკის ქუჩა № ²/₃.

(3—3)

სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილება ამა წლის 1 ივნისიდგან დაწყებული 1 სექტემბრამდე ნაშუადღევის 2 საათიდგან დაიკეტება. (3—6.—2)

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ გამომცემელი ილია [illegible]